



პრესრელიზი

21 ოქტომბერს 10:30 საათზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ საარჩევნო კოდექსის რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო დისკუსია გამართა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედია საშუალებებმა, პოლიტიკური პარტიების, საოლქო საარჩევნო კომისიის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

შეხვედრის თემას წარმოადგენდა საარჩევნო კოდექსის პროექტთან დაკავშირებული სამი ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციები და შენიშვნების პრეზენტაცია. ორგანიზაციების რეკომენდაციები შეეხებოდა ახალ საარჩევნო კოდექსის პროექტით შემოთავაზებულ საარჩევნო სისტემას, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მარეგულირებელ ნორმებს, არჩევნების დაფინანსების გამჭვირვალობისა და მონიტორინგის საკითხებს, საარჩევნო სიების ფორმირების, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და საარჩევნო დავების პროცედურებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ორგანიზაციების შეფასებით შემოთავაზებული პროექტები არ გვთავაზობდა არსებით ცვლილებებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით.

ამ მიმართულებით დაიგეგმა მუშაობის გაგრძელება საქართველოს პარლამენტთან და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ საარჩევნო კოდექსის რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიებს საქართველოს სხვა რეგიონებშიც გამართავენ.

შეხვედრის ადგილი : ქ. ბათუმი

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“



The event is supported by the International Foundation for Electoral System

